სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ხარვეზის მიზანშეწონილობა ქართულ და გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (შედარებით-სამართლებრივი კვლევა)

ქეთი ბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".[1]

[1] თამარ მოსიაშვილი და სხვანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: *სახელმძღვანელი წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის* (თბილისი: 2011 წელი), 47. https://drive.google.com/drive/u/2/folders/1V8N3zyg-p1645nECwMIANSRSWh2kqeSo (26.05.2023).

აბსტრაქტი

დღეს არსებულ სამოქალაქო საპროცესო სამართალსა თუ სასამართლო სისტემაში არსებული სიტუაცია ცხადყოფს, რომ იკვეთება ხარვეზის ინსტიტუტის საჭიროება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს კანონმდებლობის ერთიან სხეულად შესწავლისას ნაკლის, როგორც პიროვნების პროცედურული უფლების ინსტიტუტი წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, შესაბამისად, დღის წესრიგში დგას მისი, როგორც ინსტიტუტის დაბრუნების აუცილებლობა.

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური და მსჯელობის საგანი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების ,,გია ფოლადიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ გამოქვეყნების შემდეგ გახდა. უნდა აღინიშნოს, ის გარემოებაც, რომ ეს თემა აქტუალურობას არც ათიოდე წლის წინ კარგავდა, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ხარვეზთან დაკავშირებულმა მუხლმა არა ერთი საკანონმდებლო ცვლილება განიცადა და საბოლოო ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა.

ამასთანავე, აღსანიშნავი და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ხარვეზის ინსტიტუტი ხელს უწყობს კანონის გამოყენების მიზანმიმართულობასა და თანმიმდევრულობას. მხარეების მხრიდან სამართლებრივი შეცდომების გასაჩივრების უფლების მიცემით, სამართლებრივ სისტემას შეუძლია არსებული შეცდომების იდენტიფიცირება და გამოსწორება, რაც ხელს შეუწყობს მსგავსი შეცდომების თავიდან აცილებას მომავალში და იქნება გარანტი მეტად დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემისა. გარდა ზემოაღნიშნული მიზეზებისა, ასევე უმნიშვნელოვანესია მხარის უფლება, შეუფერხებლად ისარგებლოს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებული საპროცესო უფლებით და ამასთანავე, ამ ყოველივეს თან ახლავს პროცესის ეკონომიურობა და ნაკლები ადამიანური თუ ფინანსური რესურსი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სარჩელი, წარმოება, დასაშვებობა, კრიტერიუმი, ხარვეზი, მიზანშეწონილობა, ურთიერთმიმართება, არსებითი, არაარსებითი, დისკრეციულობა.

Abstract

The current situation in the civil procedural law or the judicial system shows that there is a need for a gap institution. If we take into account the fact that in the study of Georgian legislation as a single body, the institution of the procedural right of a person is an important tool for promoting the justice, transparency and rule of law in civil proceedings, therefore, the need to return it as an institution is on the agenda.

The mentioned issue became particularly relevant and a subject of discussion after the decision of the Constitutional Court of Georgia on February 3, 2023, "Gia Foladishvili against the Parliament of Georgia". It should be noted that this topic did not lose its relevance even ten years ago, because the article related to the defect in the Code of Civil Procedure underwent more than one legislative change and was removed as a result of the final change.

In addition, it is worth noting and underlining the fact that the institution of the gap contributes to the purposefulness and consistency of the application of the law. By giving parties the right to appeal legal errors, the legal system can identify and correct existing errors, which will help prevent similar errors in the future and ensure a more independent legal system. In addition to the above-mentioned reasons, the right of the party to freely enjoy the procedural right guaranteed by Article 31 of the Constitution of Georgia is also very important, and at the same time, all this is accompanied by the economy of the process and less human or financial resources.

Keywords: claim, production, admissibility, criterion, defect, appropriateness, reciprocity, essential, non-essential, discretion.